

ნოვადი ბართია

მასალები ხმაბაძვითი სიტყვებისთვის
ქართულ-სპარსული ლექსიკური
ურთიერთობების მიხედვით

ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ საერთო ხმაბაძვითმა ლექსიკამ, რომელიც შეუნიშნეთ ქართულსა და სპარსულ ენებში.

ამ მიმართულებით ჩვენ მიერ გამოვლენილ იქნა შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ლაქლაქი, ლაყლაყი, ნულნული, ყიყლიყო, ყლუპყლუბი, ყურყური, ფართიფურთი, ქიკვივი, ქიკვიკი, ხარხარი, ჯახაჯუხი, ჯიღჯიღი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-სპარსულ ენობრივ ურთიერთობათა კვლევას დიდი ხნის ისტორიას აქვს საქართველოში. ქართულში არსებული საერთო ქართულ-სპარსული ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები დღემდე განხილვის საგანი არ გამჭდარა.

სპარსულ ფონემსთა მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემის მიზნით სპარსული სიტყვები გადმოვიტანეთ ქართული ტრანსკრიფციით. მასალა ამოღებულია ლექსიკონებიდან.

ლაქლაქი

ლაქლაქი (ლაქლაქისა) უთავბოლო და ბევრი ლაპარაკი. - ყბედობა (ქეგლ).

ლაქლაქი - ყბედობა (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ლაგლაგი (ლეჩხ.) ლაქლაქი. ყბედობა. ლ ა გ ლ ა გ ე ბ ს ლაქლაქებს, ლაყბობს (ალ. ლლონტი, 1984).

ანალოგიური სემანტიკითა და ფონეტიკური სახით სპარსულ ენაში არის სიტყვა **لكل** [ლაქლაქ], **لكل** [ლაქლაქე] (მ. მოინი, 1381).

მესხურ დიალექტში ლაგლაგი არის ფრინველი: ლაკლაკი, წერო ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში მითითებულია მისი თურქული წარმომავლობა (leğlek) (ალ. ლლონტი, 1984).

لكل [ლაქლაქ] წეროს მნიშვნელობით სპარსულშიც არის. მესხურ დიალექტში იგი თურქულის გზით იქნება შემოსული.

აშკარაა, რომ სპარსულ **لقلق** [ლაყლაყე], **لكل** [ლაქლაქე]-ისა და ქართულ ლაქლაქ-ის სახით, როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად, იდენტურ სპარსულ და ქართულ ხმაბაძვით ლექსიკურ ერთეულებთან გვაქვს საქმე

დეჰხოდას სპარსული ლექსიკონის მიხედვით **لكل** [ლაქლაქ]-ის არაბიზებული ფორმაა **لقلق** [ლაყლაყე] მნიშვნელობით: მოუფიქრებელი, გაუაზრებელი ნათქვამი სიტყვა (ა. დეჰხოდა, 1362).

ლაყლაყი

ლაყლაყი 1. ხმა, რომელსაც შეჩაღრვევისაგან გამოსცემს ლაყყ კვერცხი ან სითხე ნაკლულ ჭურჭელში. 2. ნაღრვევა, რხევა (ქეგლ).

დ. ჩუბინაშვილს შიამნია, რომ **ლაყლაყი**, რომლის მნიშვნელობაა „ლახლახი, რაკრაკი“, არის არაბული წარმომავლობის სიტყვა (ჩუბინაშვილი, 1984).

მართალია, არაბულ ენაში არის ლექსიკური ერთეული **لقى** [ლაყლაყ], მაგრამ მას ჩვენთვის საინტერესო სემანტიკური დატვირთვა არ გააჩნია.

სპარსულში არის ლექსიკური ერთეული **لقى** [ლაყ-ლაყ-ი] - (საუბ.) ზომაზე მეტი მოძრაობის, რყევის მქონე; **لقلقو** [ლაყ-ლა-ყუ] - (საუბ.) სიბყრის ან ავადმყოფობის გამო რომ ცახცახებს, წონასწორობას ვერ იცავს, მოფამფალდება (პ. ანვარი, 1381).

სპარსულში **لقى** [ლაყ] ფუძიდან ინფინიტივის მაწარმოებელი **لقد** [იდან] სუფიქსის საშუალებით მიღებულია ზმნა **لقدن** [ლაყიდან] (საუბ.) ადგილზე მოძრაობა (ყანყალი); არამტკიცედ ყოფნა (პ. ანვარი, 1383).

ვფიქრობთ, **ლაყლაყი** ბგერობრივ-შინაარსობრივად იგივეა, რაც სპარსული **لقى** [ლაყ-ლაყი].

ნულნული

ნულნულებს იგივეა, რაც დუდღუნებს ჰმ..., მაშ ადგილი გინდა..., სამსახური? ძალიან კარგი! ნულნულებდა ნოღა და თვალითა ზომავედა (ი. ეკალ.) (ქეგლ).

სპარსულ ენაში არის ხმაბაძვითი სიტყვა **نق نق** [ნეყ ნეყ], მნიშვნელობებით: 1. სლუკუნნი, ზლუკუნნი; 2. ღრენა, ბუზღუნნი, ჯუჯღუნნი.

ეს სიტყვა სპარსულში არის შემდეგი ფორმებითაც: **نقنقو** [ნეყნეყუ] და **نقى** [ნეყნეყი]. საუბ. 1. მტირალა; 2. ბუზღუნა (ი. რუბინჩიკი, 2012).

სპარსული **نقنقو** [ნეყნეყუ] // **نقى** [ნეყნეყი] და ქართული ნულნული ერთი და იგივე ხმაბაძვითი ლექსიკური ერთეულები ჩანს.

სპარსული **نقنقو** [ნეყნეყუ] // **نقى** [ნეყნეყი] ფონეტიკური ტრანსფორმაცია ქართულში ასეთი იქნებოდა: ნეყნეყი → ნუყნუყი → ნულნული.

ქართულში არის აგრეთვე ხატოვანი თქმა – ნაყე-ნაყეთ თქმა, რომელსაც თ, სახოკია ასე განმარტავს: მძიმე-მძიმედ, გაქირვებით ლაპარაკი, სვენებით თქმა სათქმელისა. „ტირილისაგან აკანკალბულის ხმით ნ ა ყ ე-ნ ა ყ ე თ უთხრა“ (თ. სახოკია, 1979).

ქართული ნაყე-ნაყე და სპარსული **نق نق** [ნეყ ნეყ] ბგერობრივად და შინაასრობრივად ემთხვევიან ერთმანეთს.

ყიყლიყო

ყიყლიყო 1. ხმაბაძვ. მამლის ძახილი, ყივილი (ქეგლ).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ყიყლიყო ახსნილია ასე: ყივილი-ი 1. მამლის (და ზოგი სხვა ფრინველის) ხმიანობა. 2. ხმამალაღი ძახილი, - ყვირილი, ყიყინი; მასი მეორე მნიშვნელობაა „გათქვეფილ კვერცხში ამოვლებული და ერბოში შემწვარი პური“ (ქეგლ).

ყიყლიყო ქართულ ეარგონშიც არის შესული და ნიშნავს ქალური ბუნების მამაკაცს (ლ. ბრეგაძე, 2005).

სპარსულ ენაში ყიყლიყო ორ ფონეტიკურ ვარიანტად არის წარმოდგენილი ლ **قوڤليقو** [ყუყულიყუ] (ი. რუბინჩიკი, 1985) და **قوڤليقو** [ყუყულიყუყუ] (ჰ. ანვარი, 2005).

ამეკარაა, რომ ქართული ყიყლიყო და სპარსული **قوڤليقو** [ყუყულიყუ] // **قوڤليقو** [ყუყულიყუყუ] ერთი და იგივე ხმებადვითი ლექსიკური ერთეულებია.

ყლუბ-ყლუბი

ქართულ ლექსიკონებში ყლუბი გაორმაგებული ფორმით არ დასტურდება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი კი ლექსიკურ ერთეულს ყლუბი ასე განმარტავს: ყლუბ-ი იგივეა. რაც ყლაბი.

ყლაბ-ი საუბ. ყელში სასმელის კრთვზის ჩაშვება, ჩაყლაბვა. - ყლუბი (ქეგლ).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის მიხედვით, ქართულ ყლაბ- ძირის შესატყვისია მეგრული ცულიფ (<* ყლუბ- <* ყლობ-) და სვანური ყგლბ- (<*ყლაბ- (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველადი, 2000).

სპარსულ ენაში არის ხმებადვითი სიტყვა **قلب** [ყოლოფ], შემდეგი მნიშვნელობით - საუბ. ყლუბი. ყლაბი **قلب** **قلب** [ყოლოფ ყოლოფ] ყლუბყლუბით (სმა) (ი. რუბინჩიკი 2012)

ამავე ლექსიკონში ცალკეა გამოტანილი **قلب** **قلب** [ყოლოფ ყოლოფ] შემდეგი განმარტებით: ხმები, რომელსაც ადამიანი გამოსცემს სმის დროს.

ვფიქრობთ, ქართული ყლუბ (→ყლუბ-ყლუბი) და სპარსული **قلب** [ყოლოფ] (→ყოლოფ-ყოლოფ) ერთი და იგივე ხმებადვითი ლექსიკური ერთეულებია.

ყურყური

ყურყური (მუცელი მიყურყურებს). მუცელი მიგრიალებს (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

სპარსულში არის ხმებადვითი ლექსიკური ერთეული **قرفر** [ყორყორ], რომელიც სპარსულ ლექსიკონებში განმარტებულია ასე:

قرفر [ყორყორ] = [غرغر] - მუცლის ხმა.

قرفر [ყორყორ] = [غرغر] - სიტყვა, რომელსაც გამოთქვამენ რისხვით და ბრაზით.

قرفر [ყორყორ] - ხმა, რომელიც ყალიონის წვევისას ისმის (ჰ. ანვარი, 2005).

قرفره [ყორყორე] - ხმა, რომელსაც გამოსცემს მტრედი, აქლემი. მუცელი: ხმა, რომელიც ხახიდან ამოდის. ხმამალალი სიცილი (ხარხარი) (მ. მოინი, 1382).

ამავე ლექსიკონში **قرفره** [ყორყორე], როგორც მუცლის ხმა, ცალკეც არის განმარტებული:

ამეკარაა, რომ ქართული ყურყური და სპარსული **قرفر** [ყორყორ] ფონეტიკურად და სემანტიკურად ერთი და იგივე ლექსებია.

ორივე ენაში ეს სიტყვა მოქმედების გამომხატველ სპეციფიკურ ხმას გამოხატავს.

ქართულში ყურყური მონოსემანტური (მუცლის ხმა) ლექსიკური ერთეულია.

ფართიფურთი

ფართიფურთი-ი (საუბ.) 1. ფაფხური... 2. ფაცაფუცი. ფუსფუსი... (ქეგლ).

სპარსულ ენაში არის კომპოზიტი **هارت و هورت // هارت و هورت** [ჰართ ო ფურთ // ჰართ ო ჰურთ]. მისი მნიშვნელობაა: 1) ლაზღანდარობა, ფუჭსიტყვაობა; 2) ცარიელი მუქარა (ი. რუბინჩიკი, 1985); ხელოვნურად ატყეხილი აურზაური (ა. დეჰხოდა, 1372).

სპარსული **هارت و هورت // هارت و هورت** [ჰართ ო ფურთ // ჰართ ო ჰურთ] და ქართული ფართიფურთი ფონეტიკურად მთლად არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ სემანტიკურად ერთსა და იმავე ლექსემებს წარმოადგენენ. ქართულში იგი მოძრაობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულად დამკვიდრებულია.

როგორც ხმაბადვითი ლექსიკის მკვლევარი ი. ქობალავა წერს, მსგავს მაგალითებში ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა თავის დროზე ფონეტიკური პირობებით შექმნილი ვარიანტები თანდათანობით იძენენ განსხვავებულ სემანტიკას და ხდებიან დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები (ი. ქობალავა, 1980: 67).

ჭივჭივი

ამ სიტყვას ქართული ენის განმარტყებითი ლექსიკონი განმარტავს ასე: **ჭივჭივებ-ს** „ჭივ“-ს იძახის (წვრილი ფრინველი) ბელურა (მაგალითები მოყვანილია XIX-XX სს. ტექსტებიდან) (ქეგლ).

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, **ჭივჭივი** არის: ჭიკჭიკი, ჟივჯივი მფრინველთა ან ყმაწვილის ლაპარაკი. მოყვანილია მაგალითები „ვისრამიანიდან“ და „რუსულდანიანიდან“ (დ. ჩუბინაშვილი 1984).

ჭივჭივ-ი: არა თუ ჭივჭივინი ოდენ გამოვლენ წვიმისაგან... არამედ თავუცა და მყუარიცა (ბ. კეს.-ეჭუს. დღ. 119.26) (ი. აბულაძე, 1973).

სპარსულ ენაში არის ხმაბადვითი სიტყვა **چاچا** [ჩავ], გაორმაგებული ფუძით **چاچاچა** [ჩავჩავ], რომლის მნიშვნელობაა, ხმა, ჭიკჭიკი, ელურტული, წრიპინი, წივილი (შეშინებული ჩიტის) (ი. რუბინჩიკი, 2012).

ქართული **ჭივჭივი** და სპარსული **چاچაچა** [ჩავჩავ], გარკვეული ფონეტიკური სხვაობით, ერთი და იგივე ხმაბადვითი სიტყვებია.

ქართულში **ჭივჭივი**-დან მიღებულია სახელი **ჭივჭავი**, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია ასე: (ჭივჭავისა) პატარა მოყვითალო-მომწვანო ჩიტი ბელურისნაირთა რიგისა. მითითებულია მისი სპარსული წარმომავლობა. სპარსულში იგი, აღნიშნული სემანტიკური დატვირთვით, იწერება და გამოითქმის ასე: **چاچაچა** [ჩავჩავ].

მსგავსი შემთხვევა არაერთია, როცა ტერმინოლოგიურ საჭიროებას გამოუწვევია მეტონიმი და ხმაბადვით სიტყვათა პოლისემია (გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, 2013).

შევნიშნავთ, რომ ამ სიტყვასთან დაკავშირებით სპარსულში მსგავსი მოვლენა არ დასტურდება.

ჭიკჭიკი

ჭიკჭიკ-ი: 1 ზოგი ფრინველის ხმიანობა: გადატ. (მოფერ.) ტკბილად, საამოდ ლაპარაკი; ტიკტიკი. 3. ირონიით იტყვიან. საერთოდ, ლაპარაკზე (ქეგლ).

სპარსულში არის ხმაბადვითი ლექსიკური ერთეული **چيچي** [ჩიქ-ჩიქ] შემდეგი მნიშვნელობით: ფრინველთა ხმა; გაუგებარი სიტყვა; არალამაზად ნათქვამი (მ. მოინი, 1382).

ქართული **ჭიკჭიკი**. მცირე ფონეტიკური ცვლილებით, შინაარსობრივად იგივეა. რაც სპარსული **چیک چیک** [ჭიქ-ჭიქ]

ქართულ ენაში სიტყვიდან **ჭიკჭიკი**-ი -ა აფიქსით ნაწარმოებია სახელი **ჭიკჭიკა** შემდეგი მნიშვნელობით: **ჭიკჭიკა** (ჭიკჭიკასი), რასაც **ჭიკჭიკი** (მნიშვნ. 1) სჩვევია **ჭ. მერცხალი**. 2. **გადატ.** (მოფერ.) ვისაც **ჭიკჭიკი** (მნიშვნ. 2) სჩვევია. **ჭ. ბავშვი** (ქეგლ).

ამ შემთხვევაშიც, მოვლენათა შორის რეალური კავშირის საფუძველზე, თვისების ერთი მოვლენიდან მეორეზე გადატანასთან – მეტონომიასთან გვაქვს საქმე.

ქართულ ენაში არის ლექსიკური ერთეული **ჭიყჭიყი**, რომელიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია ასე: (საუბ.) ულაზათო, გაურკვეველი ლაპარაკი (ქეგლ).

იქვე მითითებულია, რომ **ჭიყჭიყი** იგივეა, რაც **ჭიღჭიღი** (იხ. **ჭიღჭიღი**).

ხარხარი // **ხორხორი**

ხარხარი-ი (ხარხარისა) 1. ხმამაღალი სიცილი... 2. რთული სიტყვის მეორე შემადგენელი ნაწილი: სიცილ-ხარხარი, კისკის-ხარხარი, ხარხარ-კისკისი (ქეგლ).

ხორხორი-ი იგივეა, რაც **ხორხოცი**.

ხორხოცი-ი ხმაურიანი სიცილი (ბევრისა) (ქეგლ).

სპარსულში არის ლექსიკური ერთეული **خرقه** [ყორყორე] ხმა, რომელსაც გამოსცემს მტრედი, აქლემი. მუცელი: ხმა რომელიც ხახიდან ამოდის. **ხმამაღალი სიცილი (ხარხარი)** (შ. მოინი. 1382)

შდრ. სპარსული **خرقه** [ყორყორე], ერთი მნიშვნელობით ხმამაღალი სიცილი (ხარხარი) სემანტიკურად ემთხვევა ქართულ **ხორხორს**, ფონეტიკურადაც ახლოს არის მასთან.

ჩახაჩუხი

ქართულ ენაში გვაქვს ლექსიკური ერთეული **ჩახაჩუხი**-ი, შემდეგი მნიშვნელობით: 1. ჩების ხმა. ტყაში ისმოდა ხეების ჩ.; 2. ხშირი ჩახუნის ხანჯლების ჩ. (ქეგლ).

სპარსულ ენაში არის ხმამაძვითი სიტყვა **خاچاخ** [ჩაქაჩაქ], მისი მნიშვნელობაა: ლითონის იარაღების ერთმანეთზე განმეორებული ცემისა და მისი მსგავსი ხმები (ჭ. ანვარი, 2005).

ქართული **ჩახაჩუხი** და სპარსული **خاچاخ** [ჩაქაჩაქ]-ი ორივე ენაში მოქმედების თანმხლები ხმის გამომხატველია და, მცირე ფონეტიკური სხვაობით, ერთი და იგივე ლექსიკური ერთეულები ჩანან.

ფონეტიკური გზა ასეთი იქნებოდა: **ჩაქაჩაქ** → **ჩაქაჩოქ** → **ჩახაჩოქ** → **ჩახაჩუხ**.

ქართულში **ჩახაჩუხი**-ის პარალელურად გვაქვს **ჯახაჯუხი**-ი, შემდეგი მნიშვნელობით: ზედიზედ, მრავალჯერ განმეორებული ჯახუნი (ქეგლ), რომელიც **ჩახაჩუხი**-ის ფონეტიკურად სახეცვლილ ფორმას წარმოადგენს.

ჭიღჭიღი

ჭიღჭიღი (საუბ.) იგივეა. რაც **ჭიყჭიყი**; **ჭიყჭიყი**; (საუბ.) ულაზათო, გაურკვეველი საუბარი (ქეგლ).

სპარსულ ენაში არის ხმაბადვითი სიტყვა **ჯი ჯი** [ჯილ ჯილ] მნიშვნელობით: (საუბ.) წივილი, კივილი, ჭყვივილი... (ი. რუბინჩიკი, 2012).

ქართული ჯილჯილი ფონეტიკურად იდენტურია სპარსული **ჯი ჯი** [ჯილ ჯილ]-ისა, სემანტიკურად კი იგი თუ სპარსულში გამოხატავს ფრინველთა ხმიანობას, ქართულში ადამიანის მეტყველების აღმნიშვნელია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

ყველა ხმაბადვითი ლექსიკური ერთეული მიღებულია ფუძეთა რედუბლიკაციით.

გვხდება ფუძეცვლილი კომპოზიტები (ფართი-ფურთი, ჯახა-ჯუხი, ჩაქა-ჩუქი).

ერთ მათგანს ყლუბი (→ყლუბ-ყლუბი (სპ. **قُلُوب** [ყოლოფ-ყოლოფ]) საერთო ქართველურ დონეზე მოეპოვება შესატყვისები.

ჯგუფების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ხმაბადვითი ხმიანობის გამომნატველი ლექსიკური ერთეულები:

ა) ადამიანის მეტყველების: **ლაქლაქი, ლულლული, ნულნული, ნუყნუყი.**

ბ) არასამეტყველო ბგერადობის: **ლაყლაყი, ყურყური, ხარხარი, ყლუბყლუბი, ხორხორი.**

დ) ფრინველთა ხმიანობის: **ჭივჭივი, ჭიკჭიკი, ჭიყჭიყი, ჯილჯილი,**

ე) ადამიანის სპეციფიკური ქმედების თანმხლები ხმიანობა: **ჯახაჯუხი.**

ფუძეებში გვხდება როგორც ხმოვანთა, ისე თანხმოვანთა მონაცვლეობა: **ფართიფურთი, ჯახაჯუხი.**

XVI საუკუნემდელი ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობანი ღრმად არის შესწავლილი მზია ანდრონიკაშვილისა და სხვათა მიერ, შემდგომი პერიოდისა კი შესწავლას მოითხოვს.

ქართული-სპარსული ხმაბადვითი ლექსიკური ურთიერთობანი პირველად ხდება განხილვის საგანი.

შევნიშნავთ, რომ იმ ენებში (სომხური, თურქულ-აზერბაიჯანული, ოსური ბერძნული, აფხაზური), რომლებთანაც ქართულს ისტორიულად ახლო ურთიერთობა ჰქონია, გამოვლენილ ხმაბადვით სიტყვებს პარალელები არ ეძებნება.

შესაძლებელია, ისეთ მოვლენასთანაც გვქონდეს საქმე, როცა ხმაბადვითი ლექსიკური ერთეულები სტერეოტიპულად ერთნაირად ყოფილიყო აღქმული ორივე ენაში, თუმცა არც მათ სპარსულიდან ნასეხობებს გამოვრიცხავთ.

დამოწმებული ლიტერატურა

ჰ. ანვარი, 1381 **تهران سخن بزرگ فرهنگ**, **انوار حسن**, 1381 - (ჰასან ანვარი, ფარჰანგე რუზე სოხან, თეჰრან, 1381).

ლ. ბრეგაძე, 2005 - ლ. ბრეგაძე. ქართული ქარგონის ლექსიკონი, თბ., 2005.

გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, 2013 - გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე. ნარკვევები აფხაზურ-ქართული შედარებითი მორფოლოგიიდან, 1. ფრინველთა სახელები. ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული. ქუთაისი, 2013.

- მ. მოინი, 1382 – تهران، مجمع لغات، 1382 (ფარშანგე ფარსიე მოინ, თეჰრან – მოინის სპარსული ლექსიკონი, თეირანი).
- ს.-ს. ორბელიანი, 1991-1993 ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I-II, თბ., 1991-1993.
- ო. რუბინჩიკი, 1985 – Персидско-русский словарь, под редакцией Рубинчика Ю.А., I-II, Москва, 1985.
- თ. სახოკია, 1979 – თ. სახოკია. ქართული ზატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. რვატომეული, აკად. არნ. ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1950-1964
- ი. ქობალავა, 1980 – ი. ქობალავა. ზოგიერთი ტიპის ხმებაძვითი სიტყვის წარმოებისათვის ქართულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას, სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2000.
- ალ. ლლონტი, 1984 – ალ. ლლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- არნ. ჩიქობავა, 1938 – არნ. ჩიქობავა. კანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1938.
- დ. ჩუბინაშვილი, 1984 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
- გ. ხორნაული, 2000 – გ. ხორნაული. ფშაური ლქსიკონი, თბ., 2000.

NOMADI BARTAYA

MATERIALS ON ONOMATOPOETIC WORDS IN LINE WITH GEORGIAN-PERSIAN LEXICAL RELATIONS

The common onomatopoeic vocabulary we have observed in Georgian and Persian has attracted our attention.

With reference to the foregoing, we have identified the following lexical units: laqlaqi, laklaki, nughnughi, kikliko, klupklupi, kurkuri, partipurti, tchivtchivi, tchiktchiki, kharkhari, jakhajukhi, jighjighi.

All of onomatopoeic lexical units are formed by means of stem reduplication.

We encounter composites with a change in a stem vowel (parti-purti, jaha-juhi, čaka-čuki).

One of them qlup`i (→qlup`-qlup`i, klup-klupi (Persian قلپ-قلپ [qolop-qolop]) has correspondences at the common Kartvelian level.

Certain words (partipurti, jigjiḡi) have undergone semantic deviation.

The following lexical units with onomatopoeic phonation could be categorized into the groups given below:

- a) Human speech: laklaki, luḡluḡi, nuḡnuḡi, nuqnuqi;
- b) Non-speech phonation: laqlaqi, qurquri, harhari, qlup'qlup'i, horhori;
- c) Birds' phonation: čivčivi, čikčiki, čiqčiqi, jigjiḡi;
- d) Phonation, accompanying specific action of a human: jahajuhi.

Both vowel and consonant alternation occurs in the stem: partipurti, jahajuhi.

We may possibly be dealing with such an event, when onomatopoeic lexical units could have been stereotypically perceived in the same way in both languages, though we do not exclude the possibility that they may have been borrowed from Persian.

The new Persian vocabulary, originating from the 10th century, has been transferred to Georgian through the two flows of borrowings, mainly, in the 12th and 16th-17th centuries.

The analyzed words, except for one (i.e. čivčivi – 12th c.), belong to the second flow of the new Persian lexical borrowings.

We should mention that no parallels of the identified onomatopoeic words are found in the languages (i.e. Armenian, Turkish-Azerbaijani, Ossetian, Greek and Abkhazian), that historically had close relationship to Georgian.